გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1892


ნათესავნი **არქიმანდრიტის მაკარისა** სთხოვენ მის ნათესავთა და ნაცნობთ, რათა მობრძანდნენ გარდაცვალებულის სასინოდო კანტორის წევრის **არქიმანდრიტის მაკარის** პანაშვიდზედ, რომელიც დღეს, 9 თიბათვეს, გარდახდილი იქნება ფერისცვალების (დარიის) მონასტერში. განსვენებულის გვამს გაასვენებენ დილის 9 საათზედ გარდაცვალებულის სადგურიდგან, სიონის ქუჩა, სახლი № 5.

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

## საქართველოს

გეოგრაფია

1 წიგნი

## სამცხე

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.

---

**ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია**

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

### ხელობაში აქვს კეთება:

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც მალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—22)

---

«ქართველთა ამხანაგობის» მიერ გამოცემული

## ილია ჭავჭავაძის

**თხზულებათა**

მეორე ტომი

გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად.

ამ ტომში მოთავსებულია:

1) მგზავრის წერილები (სრული),
2) გლახის ნაამბობი,
3) კაცია ადამიანი?!

ფასი 1 მ.

კარგ ქაღალდზედ ყდით ეღირება 2 მ. 50 კ.

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.**

ხუთის საავადმყოფოს სადგურისათვის, რომელიც უნდა გაიმართოს ტფილისში, თანხმად ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილებისა 5 ივნისს, ვინიცობაა ხოლერა გაჩნდა, საჭიროა სახლები პოლიციის უჩასტკების სამზღვარზე. თითო სახლში ოთხი ოთახი უნდა იყოს, ცალკე ეზო ჰქონდეს და სარდაფი. საჭიროა სამის თთვის ვადით.

ვაუწყებთ რა ყოველსავე ამას, ქალაქის გამგეობა სთხოვს ბატონთ სახლის პატრონთ, შემოიტანონ თვისი ქაღალდები ამ ივნისის 13 რიცხვამდე. ამასთანავე მოვალეობად ვრაცხთ დავძინოთ, რომ ამ სახლებს ეიდრე პატრონს ჩავაბარებდეთ უკანვე, გავაწმენდინებთ კარგად სადეზინფექციო წამლებით. (1—2)

---

13 ივნისს, შაბათს,

საღამოს 7 საათზედ, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.
2) საზოგადოების წევრთა არჩევანი.
3) გამგეობის წევრთა არჩევანი.
4) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. (6—3)

---

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აუწყებს თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომის მყიდველთ, რომ ამხანაგობამ უკვე მიიღო პეტერბურგში დაბეჭდილი ავტორის სურათი და, ვისაც უყიდნია ზემოხსენებული წიგნი, შეუძლიან სურათი წარმოადგინოს ახალზედ გამოსაცვლელად.

თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მე-II ტომიც ამ დღეებში გამოვა გასასყიდად. (5—4)

---

გამოვიდა ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში:

## ძმაბიჭნი

**ბექა და ალგულა**

და

**მათი სამართალი,**

ნ. ურბნელისა.

ფასი ათი შაური (50 კაპ.) (6—6)

---

## ახალი ამბავი

*** † გუშინ-წინ გარდაიცვალა არქიმანდრიტი მაკარი, წინამძღვარი წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრისა. განსვენებული ღრმად მოხუცებული იყო. განსვენებულს ბევრს კეთილს საქმეში მიუღია მონაწილეობა. სხვათა შორის განაახლა რამდენიმე ტაძარი, საქართველოს ძველი დროის ნაშთი და ზრუნავდა საეკლესიო გალობის ქართლ-კახურის კილოს აღდგენისა და ნოტებზე გადაღებისათვის. განსვენებული 32 წელიწადი წევრად იყო ტფილისის ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორისა. მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ ტფილისის დარიის მონასტერში.

*** ამ წელს ტფილისის მეორე გიმნაზიაში 17 მოწაფემ შეასრულა სწავლა. ამათში იოსებ ბერიძემა და სტეფან კულებიაკოვმა ოქროს მედალი მიიღეს კარგის სწავლისთვის და ნიკოლოოზ ბაგაზარმა — ვერცხლისა, სწავლის კარგა დასრულების მოწმობა მიიღო ბერიძეს გარდა კიდევ ერთმა ქართველმა მოწაფემ, შიო ჩიტაძემა.

*** კვირას, 7 მაისს, საგანგებო კრება მოხდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. კრებაზედ ხანგრძლივი კამათობა ასტყდა იმის შესახებ, მიენიჭოს თუ არა კენჭი საზოგადოების იმ წევრთ, ვისაც ხვედრი ფული არ შეუტანიათ. ზოგი ამტკიცებდა, რომ შეიძლება კენჭი მიენიჭოს წევრს და ხვედრი ფული-კი შემდეგ შემოიტანოსო. უმეტესი ნაწილი კრებისა ამბობდა, რომ საზოგადოების წევრთ ეხლავე უნდა შემოიტანონ ხვედრი ფული და ვისაც ჯერ არ შემოუტანია, საზოგადოების წესდებით კენჭი არა აქვს მინიჭებულიო. კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, რომ საზოგადოების ყველა წევრმა უნდა შეიტანოს ხვედრი ფული. დასასრულ კრებამ გადასწყვიტა, ხელ-ახლად მოხდეს საზოგადოების გამგეობის წევრთა არჩევანი, რომელიც 13 ივნისისთვის დანიშნა. 13 ივნისვე განხილული იქნება ქართულ თეატრის მომავალ სეზონისთვის ხარჯთ-აღრიცხვა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართველთა ამხანაგობა უკვე შესდგომია თ. ილია ჭავჭავაძეს 3 ტომის ბეჭდვას.

*** ამავე ამხანაგობას დაუწყვია ბეჭვდა ბ-ნ იაკ. გოგებაშვილის წერილსა, „რანი ვიყავით გუშინ“.

*** ოფიციალურს ცნობებიდგანა სჩანს, რომ 14 მაისიდგან 1 ივნისამდე ტფილისში ავად გამხდარა: ხუნაგით—3, ჩუტ-ყვავილით—2 და სახადით 2 კაცი. ამავე დროს განმავლობაში გარდაიცვალა ჩუტ-ყვავილით მხოლოდ 1 კაცი.

*** ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზედ სხვათა შორის კავკასიის ხანჯლებისა და ნაბდების ვაჭრების განყოფილებაც იქნება. ამ განყოფილების წარმომადგენელად ჰაჯი არბექოვს ასახელებენ.

*** სადგურებს კასპსა და ქსანს შუა კალია გაჩენილა. საჭიროა, რომ ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციონ ამ ამბავს და შეუდგნენ იმის გაწყვეტას, ვიდრე არ აფრენილა და კვერცხი არ დაუდვია.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ კიდევ დაითხოვა სამსახურიდგან ორი ობერ-კონდუქტორი: ლლონტი და თომენკო, იმისთვის რომ რკინის გზის მატარებლით უბილეთოთ მიჰყავდათ ხალხიო.

*** ზესტაფონი: 6 მაისს ოსმალეთის ქვეშევრდომი მუშა ყარა-ახმედ-ოღლი ქვის ნახშირის მტვრევის დროს 10 საჟენის სიმაღლიდგან გადმოვარდა და $2^1/_2$ საათს შემდეგ გარდაიცვალა.

*** პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ბ-ნი ნ. მარი ამ ჟამად სომხეთის ქალაქ ანში იმყოფება, საცა ერთს თთვეს დაჰყოფს და შემდეგ არპაჩაისა და არაქსის ხეობებს დაათვალიერებს, საცა ბევრი სხვადა-სხვა საყურადღებო ნაშთი მოიპოვება სომხეთის ძველის დროისა.

*** კახეთი: თიბათვე მეტის-მეტი სიცხეებით დაიწყო. ამ ერთის კვირის სიცხეებმა ყანები შესამჩნევად შეაყვითლა. ქერი ხომ დღე-დღეზეა მოყვანილი. მინდვრის მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ ვენახები თუ რა გვარად იგვარებენ, ეს-კი საჭოჭოა. კახელები ერთობ გულმოდგინედ ებრძვიან ვენახის მტერს „ობს“. დამრიგებელი და წამლობის მასწავლებელი ბ-ნი ინანაშვილიც თავის ხალხით თვისდა მინდობილ საქმეს ბეჯითად ეკიდება და ხალხს ასწავლის ვაზის წამლობას.

*** ქვიშხეთი: 7 მაისს ევლახის სადგურზედ მინამ მატარებელი № 3 მი-

ვიდოდა, რკინის გზის მოსამსახურემ, ალექსი თავართქილაძემ რკინის გზის ლიანდაგზედ ერთი ცხენოსანი და 5 ქვეითი კაცი შეამჩნია და უბრძანა, ლიანდაგზედ ნუ დადიხართო. იმათ იწყინეს და ხანჯლებით დასჩრეს. რკინის გზის დარაჯმა ნახა დაშავებული თავართქილაძე, და ამ დროს მომავალი საფოსტო მატარებელი გააჩერა, რომელმაც დაშავებული ევლახის სადგურზედ მიიყვანა. ბოროტ-მომქმედნი ვერ აღმოაჩინეს.

*** გაზეთი „კასპი“ იუწყება, რომ 4 ივნისს ბაქოში გარდაიცვალა კუჰის ანთებისაგან ნ. ვართანოვი. განსვენებულის ავეჯი და ტანთსაცმელი ცეცხლში დასწვეს.

*** გაზეთ „Нов. Обоз.“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ კარანტინის უფროსის მკურნალ ილინისა: „Кавказъ“-ის 143 ნომერში დაბეჭდილი იყო: „29-სა და 30 მაისს დეპეშით გვაუწყებენ ენზელიდგან, რომ იქ ხოლერა აღარ აღმოჩენილა: მკურნალები გულ-მოდგინედ ებრძვიან ამ სენსა“. 1889 წლის 1 ნოემბრიდგან მთავრობის განკარგულებით ყველა ენზელიდგან მოსულს გემსა სინჯავენ, და რომელსაც რუსეთის ელჩის მოწმობა აღმოუჩნდება, სრულს თავისუფლებას აძლევენ, რომელსაც არა — სამი დღე კარანტინში უნდა იყოს. აქამდე ჯერ არც ერთი გემი არ მოსულა ენზელიდგან, რომელსაც კონსულის მიერ მიცემული, მშვიდობიანობის მოწმობა არა ჰქონოდეს. ენზელში რომ ხოლერა იყოს და მკურნალები ამ სენის მოსპობას სცდილობდნენ, ენზელიდგან წამომსვლელს გემს რუსეთის ელჩი მშვიდობიანობის მოწმობებს არ მისცემდა. ენზელში არას დროს არც ერთი მკურნალი არა ყოფილა და არც ამ ჟამად არის. მაშასადამე ორში ერთი უნდა იყოს: ან ენზელში მართლა ხოლერა ყოფილა და ამ ამბავს ენზელის ელჩი მალავს, ან არა და გაზეთი „Кавказъ“-ი შეუმოწმებელს ამბავსა ჰბეჭდავს. ასეა, თუ ისე, საჭიროა, რომ მართალი გამოირკვეს.

კარანტინის დირექტორი, მკურნალი ილინი.

### მთავრობის განკარგულებანი

კავკასიის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს იურისკონსულტი სტატსკი სოვეტნიკი ვოლკინი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან და დაენიშნა პენსიად წელიწადში 1750 მანათი. ვოლკინის მაგივრად დანიშნულ იქმნა იურისკონსულტის თანაშემწე ბ-ნი საყვარელიძე, ხოლო საყვარელიძეს თანამდებობაზედ დაინიშნა იურისკონსულტის საქმეთა მწარმოებელი ბ-ნი ბუსლავსკი.

### ხოლერა

ამ ჟამად ტფილისის მცხოვრებლებისა და გაზეთების სალაპარაკო მარტო ხოლერა-ღაა. ნამდვილი ამბავია, რომ სპარსეთში ჩვენის საზღვრების მახლობლად, ხოლერა საშინლად მძვინვარებს, მაგრამ მეგაზეთეებმა საშინლად გააზვიადეს ეს საქმე. ამ გარემოებამ აიძულა სპარსეთის მთავარი ელჩი მ. რიზახანი წერილი დაებეჭდა გაზეთებში ჭეშმარიტების აღსადგენად. აი წერილი მ. რიზახანისა, დაბეჭდილი გაზეთს „Т. Л.“-ის გუშინდელს ნომერში: „მაისის დამლევს აქაურს გაზეთებში ეწერა: — ტფილისში სპარსეთის მთავარმა საელჩომ ცნობა მიიღო, რომ მეშედში ხოლერა თითქმის სრულიად მოისპოვო და სხვ. ხოლო თქვენის გაზეთის № 125-ში ეხლა წერილი იყო დაბეჭდილი ხოლერის შესახებ ცნობათა ერთი ერთმანეთის წინააღმდეგობის თაობაზე. რადგანაც ამ დღეებში ლაპარაკი არა მქონია აქაურის მწერლობის არც ერთს წარმომადგენელთან ამ საქმის თაობაზე, ამიტომ იმ წერილის პასუხის გაცემას ვაპირებდი. მაგრამ წერილი მივიღე მეშედიდგან, რომ ხოლერა თანდათან ნელდებაო, და ისევ ვარჩიე, რომ სულ გავჩუმებულიყავ და უიმისოდაც დაშინებული საზოგადოება მეტად აღარ დამეშინებინა. გულით ვისურვებ, რომ გაზეთებში უჩემოდაც დაწერილი დამამშვიდებელის წერილების ამბები მართალი გამოდგეს. ჩვენს ხალხს ერთი კარგი ლეგენდა აქვს. ერთი მოლლა ვირით მიდიოდა თურმე ქალაქში. ქალაქის მახლობლად რაღაც მოჩვენება გამოეცხადა და უკან აედევნა. საწყალს მოლლას შიშისაგან წინალამ გული წაუვიდა და ჰკითხა: „ვინა ხარ, რა გინდაო“. მოჩვენებამ თავი დაუკრა და მოახსენა: „მე ხოლერა გახლავართ, ღმერთმა გამომგზავნა ამ ქალაქში, რომ ცოდვილნი ამოვსწყვიტო. „სულ რამდენი ცოდვილია, რომლებიც უნდა გასწყვიტო? 500 კაციო, უპასუხა მოჩვენებამ. „ფიცი მომეცი, რომ 500-ზე მეტს არ მოჰკლამ ამ ქალაქში. მოჩვენებამ მისცა ფიცი. მოლლამ მოჩვენება ვირზე შემოისვა და განაგრძეს ორმავე გზა. ქალაქს რომ მიაღწიეს, მოჩვენებამ კვლავ განიმეორა თავისი ფიცი და მერე-კი ერთმანეთს განშორდნენ.

ორი-სამის დღის შემდეგ მოლლამ ისაქმა თავისი საქმე და შინისკენ გასწია. წასვლის დროს ჰკითხა ხალხსა, რამდენი კაცი იმსხვერპლა ხოლერამაო. სამი ათასისიო, უპასუხეს. „ცრუვ! მომატყუა!“-ო, წამოიძახა მოლლამ, მოჩვენებას ფიცი რომ მოაგონდა. ქალაქს გამოსცდა თუ არა, ის მოჩვენება კიდევ წინ დაუხვდა. მოლლამ უსაყვედურა, რად მომატყუე, ფიცი რად გასტეხეო. მოჩვენებამ უთხრა, ეგ რა ჩემი ბრალია, მე 500-ზე მეტი არ მომიკლავს, მაგრამ სხვები თითონ დაიხოცნენ შიშის გამოვო.

ჩრდილოეთის საავგენტოც მგონი აზვიადებს ხოლერის შესახებ ამბებს. მე ოფიციალური ცნობა მომივიდა თეირანიდგან, რომ ხოლერისაგან დახოცილთა რიცხვი დღეში 50-ს არ აღემატება. უკანასკნელს დროს ამ რიცხვმა ძლიერ იკლო, რადგანაც მთავრობას ყოველივე ღონე აქვს ნაღონები ამ გამანადგურებელ სენის წინააღმდეგ.

სპარსეთის მთავარი ელჩი
მ. რიზახანი

საქმის გაზვიადება მართლა ძლიერ მავნებელია, ბევრი ზარალიც შეიძლება მოუტანოს ხალხსა, მაგრამ გათვალისწინება ყოველსავე გარემოებისა და თადარიგის დაჭერა საჭიროა. ხოლერა ძლიერ ახლოა ჩვენზედ, მოსალოდნელია, რომ მცირე ხანში ტფილისში დაგვიკრას თავი და აი ამიტომ ვამბობთ თადარიგის დაჭერა საჭიროაო. ამ გარემოების უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია. ყველა უნდა გაისარჯოს თავის შეძლებისადა გვარად. მთავრობამ თავისი ღონისძიებანი იხმარა. კარანტინი დააარსა და სასანიტარო დასები გაამრავლა. ტფილისის ქალაქის საბჭომაც, როგორც ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, 46,300 მანეთი გადასდო ამ საქმისათვის. ამ ფულით 11-სა სანიტარო დასს იყოლიებს ტფილისისა და იმის მიდამოების ყურის სადგებლად. ქალაქის გამგეობას უკვე მოუვიდა თხოვნა ათის ექიმისაგან, ჩვენ დაგვენიშნეთ სასანიტარო ექიმებადაო. საქალაქო სამკურნალოს უფროსმაც თავისის მგრით სთხოვა, ექვსი ექიმი, საქალაქო სამკურნალოში მოსამსახურენი, აიყვანეთო და, როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელებს ჩაჰბარდებათ ტფილისის სასანიტარო დასები. ტფილისის საქალაქო ქსენონშიაც უკვე გამართეს საწოლები ხოლერით ავადმყოფთათვის. პოლიციაც ძლიერ დიდის ყურადღებით ეკიდება ქუჩებისა და ეზოების სუფთად შენახვის საქმეს. უსუფთაო ალაგებს სადეზინფექციო წამლებით აპკურებენ და სხვ. ერთის სიტყვით მთავრობა და საზოგადო დაწესებულებანი ძლიერ ირჯებიან და ემზადებიან ხოლერასთან საბრძოლველად. მაგრამ მარტო მთავრობა და საზოგადო დაწესებულებანი ვერაფერს გახდებიან, თუ ყოველმა წევრმა საზოგადოებისამ, ყოველმა კერძო კაცმა თავისითაც არ დასდო ღვაწლი და ყოველივე შესაძლებელი ღონე არ იღონა. მაგალითად, ძლიერ საჭიროა, რომ რომელმამე მკურნალმა პატარა წიგნაკები — დარიგებანი დაჰბეჭდოს ქართულსა და სომხურს ენაზედ ხალხში გასავრცელებლად. სხვას კიდევ რამდენს რასმე მოისაზრებს კაცი, თუ გული შეიტკივა ამ საქმისთვის.

პირველი ღონე ხოლერასთან საბრძოლველად სისუფთავეა. 1884 წელს ევროპაში მძვინვარებდა ხოლერა და იმ ქალაქებში, სადაც ნაკლები სისუფთავე იყო, ერთი ათად მეტი ხალხი დაიხოცა, ვიდრე სხვა სუფთად შენახულს ქალაქებში, თუმცა მთავრობანი და საზოგადო დაწესებულებანი ყველგან ერთნაირად ირჯებოდნენ. მაშ ეხლაც ჩვენი უმთავრესი ყურადღება ამ სისუფთავეზედ უნდა იყოს მიქცეული. თუ ეს კარგად შეიგნო ყველა ჩვენგანმა და მცნებად გაიხადა, მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ არც ჩვენი შრომა და არც მთავრობისა ამაოდ არ ჩაივლის. ყველამ თავის თავისა უკეთ იცის, როგორც უნდა მოაშოროს ეზოს ან სადგომს ცუდი სუნი და უსუფთაობა. მაშ განა როდის-ღა უნდა გამოიჩინოს კაცმა მხნეობა და გულ-შემატკივრობა თავისიანებისა და ერისადმი, თუ არ ეხლა ამ საშინელის განსაცდელის მოლოდინის დროს?

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** როიალისტთა მემარჯვენე დასმა 28 მაისს კრება მოახდინა და შემდეგი დაადგინა: „რადგან ამ უკანასკნელს დროს კათოლიკთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, ამიტომ წევრნი როიალისტთა და-

## ფელეტონი

### ტიტია და ივანე

(დასასრული *)

(ძველი ამბავი)

გათენებამ მოატანა. ტიტია არსად ჩანდა. ივანე თავის გუნებაში ამბობდა: ეტყობა ტიტიას, იმ ქალთან შექცევა ძალიან გაუტკბა, რომ აღარ მოდის...

გათენდა. წირვები ირეკება. ტიტია არსად არის. ივანემ მაშინ-კი სთქვა: იმის თავს რაღაც ამბავია, თორემ ამდენ ხანს ის იქ არ დადგებოდაო... დაიწყო სიარული და გასწია ქალაქისაკენ. მიიხედა უცებ და დაინახა, ტიტია პოლიციელებს-კი მიჰყავთ, დაუწყო ლაპარაკი:

— შენ შესაქცევლათ წახვედი და რა დაგემართა, რომ მიჰყევხართ?..

— იმ ქალთან მიველ, იქ ვიღაც ოხერი კაცი დამიხვდა, ჩემი იქ მისვლა არაფრად ეჭაშნიკა, ჩხუბი დამიწყო; იმ ქალს ვატყობდი, რომ მე უნდოდი და იმას-კი უნდოდა, მე გამოვეგდე და თითონ დარჩენილიყო, ამისათვის კარგად მივბერტყე, ვიღაც დედაკაცის ყვირილზედ ესენი ამოცვივდნენ და დამიჭირეს, წუხელ პოლიციაში ვყვანდით და ეხლა სასამართლოში მივყევართ...

ივანემ ამ ამბავზედ ჯერ ბევრი იცინა და მერმე უთხრა:

— ეგ ცუდათ მოგსვლია, რომ გიცემია... აედევნა ესეც და თან გაჰყვა. სასამართლოში რომ მივიდნენ, ის კაციც იქ დახვდათ, წინდაწინვე მისულიყო, საქმის გარჩევის დროს იმან ასე დაიწყო ლაპარაკი:

— მე გახლავარ სტეფან ხადამოვი, ის ქალი ჩემი და გახლავთ, გასათხოვარია, დედა ჩემი იქით ოთახში ვახშამს აკეთებდა, ჩემი და ჰკერავდა, და მე არხეინად წამოწოლილი ვიყავ, შემოგვივარდა ეს პატიოსანი ყმაწვილი და იმისთანა აბიდა მოგვაყენა, რომ მე ენა პირში მივარდება, ვეღარ მითქვამს და უსიკვდილოდ მაგას იმას შევარჩენ?..

— ჩემი ბრალი არა არის-რა, წამოიძახა ტიტიამ: თქვენ ისაკა ქლესოვი დაიბარეთ და სისწორეს ის მოგახსენებთ...

მოსამართლემ მაშინვე დესეტნიკი გაგზავნა და ისაკა მოაყვანინა. ამან რომ ეს ამბავი გაიგო და ტიტია დაინახა, სიცილი ვეღარ დაიჭირა, შემდგომ მოსამართლე გაიყვანა განზედ, იქით მხარეს და, რაც ხუმრობა ამათთვის გაეკეთებინა, თავიდან ბოლომდის სულ უამბო... მერმე მოუბრუნდა ტიტიას და ჩუმათ უთხრა:

— რაც მე ვთქვა, შენ დამემოწმე ხოლმე... ახლა დაუძახა სტეფან ხადამოვს და უთხრა:

— ეს ყმაწვილი სწორედ გეწვია, იმისთვის შენ რაღა ჩხუბი აუტეხე? ეგენი აქაურები ხომ არ არიან, სოფლიდან ცოლის შესართავად ჩამოსულა, შენი და დაუნახავს და შენთან მოსალაპარაკებლად ამოსულა, შენ ჩხუბი დაგიწყვია და მამასაც ჯავრი მოსვლია...

მიუბრუნდა ტიტიას და ჰკითხა:

— ასე არ იყო?.

— დიახ, სწორედ მაგრე იყო...

ისაკამ კვლავ განაგრძო:

— ამ ყმაწვილ კაცს თქვენ ვერ დაიწუნებთ, კარგი შეძლებული აზნაურშვილია და მამულ-დედულის პატრონი, ქალი არის, და მაგას ისე მოსწონს, რომ იმის გულისთვის პოლიციაშიც-კი ჩაჯდა, მაშასადამე წავიყვანოთ, ქალსაც გავასინჯოთ და, თუ იმასაც მოეწონება, ერთი ასი თუმანი მიე და ჯვარი გადავწეროთ.

სტეფანემ შორს დაიჭირა ეს ლაპარაკი:

— ჩემი ოჯახის გამაუპატიურებელს მე სიძეთ ვერ გავიხდი...

მოსამართლემ უბძანა:

— თუ გინდა, რომ ქალს სახელი არ გაუტყდეს, მაგრე უნდა მოიქცე...

ბევრი ილაპარაკეს. რა არა სთქვეს და ბოლოს, რა-კი მოსამართლეც საქმეში ჩაერია, სტეფანე დაიყაბულეს, რომ ქალმა ამაღამვე ნახოს... ტიტიას ისაკამ დაუჭირა ხელი, სტეფანას მოსამართლემ და ერთმანერთისათვის აკოცნინეს და შეარიგეს. მერმე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ... სტეფანა რომ სახლში მივიდა, დედა წინ მოეგება და უთხრა:

— რა ჰქენ, იქნება იმ რეტიან ლაპუსტაწს ჩვენი ლაფის დასხმა შეარჩინე? ტერტერაანთ ხამფერამ კინაღამ შემჭამა, ის ვიღაცა იყო, რატომ არ მოკალითო, წაწუკათ გაზრდილ სომხის ქალს სახელი გაუტეხაო...

სტეფანა მოჰყვა და როგორც საქმეს გაევლო, ყოველივე უამბო...

— უი ქაა, იმ გარეულს კეკელუა როგორ უნდა მივცეთ?

— ისაკა ქლესოვმა დაიფიცა, ისეთი აზნაურშვილია, რომ იმისი ოჯახი დუღს და გადმოდისო. მეორეც ეს ჩვენგან არც მზითევსა თხოულობს, არაფერი, აიღ-დაიღე, სულ ასი თუმნით გადავრჩებით...

— თუ მაგრე არის და მოვიდეს, ვნახოთ, რაღაც ჯონჯოლია...

ანან-ჯან, ჯერ-კი ნურავის რას ეტყვი, საქმე ჩუმად იყოს...

— ვის ვეტყვი ქაა, მე ვინმეებს ხომ არ ვეძახი, მარტო ჩემ დიანთას გავგზავნი ჩვენ პურის მცხობელ დედაკაცს, რომ მარტო ჩემი და ნატალა მოვიდეს-მეთქი.

— გადი ახლა და შენ იცი, კეკელუას რასაც ეტყვი.

ანანა გაცუხცუხდა და ყოველივე ქალსაც უამბო და იმდენი რამ ელაპარაკა, რომ კეკელუა დაითანხმა, ტიტიას დახვედროდა.

**

ბინდ-ბუნდი რომ შეიქნა, ტიტიამ უთხრა ივანეს:

— ახლა დრო არის, წავიდეთ, თორემ ეგონებათ მოგვატყუაო.

— მე რაღა ტიკი ტომარა ვარ, რომ წამოვიდე, შენ მიხვალ, ქალი გნახავს, ადგები და წამოხვალ.

— რას ამბობ, კაცო, აიქ ხალხი არ დამხვდეს და წუხანდელი ჯავრი არ იყაროს.

— თუ მაგრეა, იქვე ახლო დუქანში ვიქნები და, თუ რამ მოხდეს, ერთი დაიძახე და მაშინვე იქ გავჩნდები.

— მაშ კარგი.

— დავუძახო დროშკას?

— ეჰ, დროშკა რათ გვინდა მე და შენ საკურდღლაოდ საიდან სად დავდიოდით და აქედგან იქ დავილა-

*) იხ. „ივერია“, № 116

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისა მოვალედ რაცხავენ თავიანთ თავს, განმარტონ თავიანთი მოვალეობანი, როგორც კათოლიკებისა და მოქალაქეებისა. როგორც კათოლიკნი, იგინი დიდის პატივისცემით ეპყრობიან და ქედს იდრეკენ წმ. პაპის წინაშე სარწმუნოების საქმეებში, როგორც მოქალაქენი, იგინი ითხოვენ თავიანთთვის უფლებას, რომელიც ყველა ერსა აქვს მინიჭებული, ე. ი. იმ უფლებას, რომ თავისუფლად წარმოსთქვან ხოლმე თავისი აზრი მათის სამშობლოს მამულისა და სიდიადის ყოველისავე საგნის შესახებ. მმართველობისა სახეც ერთი ამ გვარ საგანთანია. იგი უნდა გამოირკვეს თვით საფრანგეთში და ფრანგების მიერვე. ეს ეროვნული წესი და ადათია. წმინდა ტახტმა შეიწყნარა ყოველივე მმართველობა, რომელიც ამ საუკუნის განმავლობაში იყო და შეიცვალა საფრანგეთში. ეს მისთვის საჭირო იყო; მაგრამ ურთიერთობას რომ დაუწყებდა ახალს მმართველობას, იმავე დროს როდი ითხოვდა, რომ ძველის მმართველობის მომხრეებს შეეცვალათ თავიანთი რწმუნება და ხელი აეღო ყოველსავე იმედზე. აწინდელი მთავრობა საფრანგეთისა რესპუბლიკაა, რომელიც წმ. ტახტმაც შეიწყნარა ისევე, როგორც წინანდელი მმართველობანი. სურვილი ამ განცხადების ავტორებისა იმის შესახებ, რომ თავიანთი უფლებანი დაიცვან, სრულიადაც არ შეუშლის ხელს მათსავე სურვილს, რომ შეურიგდნენ ყველა თავისუფალს დამცველს სარწმუნოებისა და ერის ინტერესებისას. ეხლა რომ მორჩილებისა გამო უარ-ჰყონ ეს სარწმუნოება, მაშინ მოწინააღმდეგეებს ნება ექნებათ სთქვან, კატოლიკები ისეთივე მოქალაქენი არ არიან, როგორც სხვანი და ნება არა აქვთ თავისი აზრი წარმოსთქვან ხოლმე ამა თუ იმ საქმის თაობაზე, რომელიც სამშობლოს შინაურს ცხოვრებას შეეხება. ამ ნაირს ცილს იგინი არ დაიწამებენ, რადგან ჰფიქრობენ, რომ სარწმუნოების საქმეს მით უმეტეს მომხრეობას გაუწევენ, რაც უფრო მეტად დაიცავენ თავიანთს ღირსებას. როიალისტთა მემარჯვენეთა დასს არა სურს განსაკუთრებულიყოს ამ განცხადებით. ყველა ფრანგებს შეუძლიანთ მიემხრონ, თუ ყველაზე უმაღლესად მიაჩნიათ ხელშეკრულობა მოქალაქობრივის დამოუკიდებლობისა, რომელსაც საფრანგეთი ითხოვს თავის შვილთათვის“.

ზოგს კრებაზე დამსწრეთაგანს არ მოეწონა ეს დადგენილება. როიალისტთაგან მხოლოდ 40 კაცმა დაუჭირა მხარი ამ გარდაწყვეტილებას. ჯერ არ იციან დანარჩენი უმცირესობა პროტესტს განაცხადებს, თუ არა.

## წვრილი ამბავი

სტამბოლში ამ ზაფხულს საშინელი სიცხეებია, როგორიც 1860 წლის აქეთ არას დროს არა ყოფილა. საღამოს 5—6 საათზედ რეომიურის ტერმომეტრი 50 გრადუსზედ მეტს უჩვენებს. მცენარეები სულ ერთიანად ამოიწვა. შეძლებულნი მცხოვრებნი სტამბოლს თავს ანებებენ და სოფლებში მიდიან საცხოვრებლად.

— დანიის მეფე ქრისტიანი ერთხელ ქუჩაში დაიარებოდა, შეხვდა ერთს ნორვეგიის გემის მესაჭეს და ლაპარაკი დაუწყო. ნორვეგიელმა მესაჭემ მეფე ვერ იცნო, ბევრი ხანი ელაპარაკა და შემდეგ სთხოვა, ჩემს გემზედ წამოდი, იქ არაყი მაქვს და დაგალევინებო. მეფემ მადლობა უთხრა და ბოდიში მოითხოვა, სადილად მელოდებიან და ვერ წამოვალო. — „რა დიდი საქმეა, მოგელოდნენრა, უპასუხა ნორვეგიელმა მესაჭემ, მე ისეთს არაყს დაგალევინებ, როგორიც იმ სადილზედ არ იქნებაო. სად უნდა ისადილო“? — „სასახლეში“ — მაშ სასახლეში მსახურობ? რა თანამდებობას ასრულებ იქა? „დანიის მეფისას“. — „მეფისასა? მესაჭემ ქუდი მოიხადა და მოახსენა: — უკაცრავად, თქვენო დიდებულებავ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ნორვეგიის არაყისთანა დანიის მეფის სასახლეშიაც არ მოიპოვება“.

— თუ როგორ ვრცელდება საფრანგეთში ყოველ წლივ ჟურნალ-გაზეთები, შემდეგი ცნობანი გვიჩვენებს. 1891 წელს 1 მაისს პარიჟში იბეჭდებოდა 1,998 ჟურნალ-გაზეთი. წრეულ-კი ამავე დროს დაიბეჭდა 2,161 ჟურნალ-გაზეთი, საფრანგეთის პროვინციასა და კოლონიებში შარშან 1 მაისს 3,180 ჟურნალ-გაზეთი დაიბეჭდა, წრეულს-კი იმავე დროს — 3,439. მაშასადამე მთელს საფრანგეთში — წრეულ 5,600 ჟურნალ-გაზეთი იბეჭდება, ასე რომ პარიჟის მცხოვრებთა რიცხვს ჟურნალ-გაზეთების რიცხვი რომ შევადაროთ, აღმოჩნდება, რომ ყოველ 1,200 კაცზედ ერთი გაზეთი ან ჟურნალი იბეჭდება.

— პიტსბურგში (ამერიკაშია) ამ დღეებში საშინელი უბედურება მოხდა. ელვასაგან პეტროლეუმის ქარხნებს ცეცხლი წაეკიდა და შუადღის სამს საათზედ მთელი ქალაქი ცეცხლით იყო მოდებული. აქედგან ცეცხლი ქალაქ ტრუსვილს მოედო. ცოტა ხნის შემდეგ საშინელმა ნიაღვარმა ორივე ქალაქი წალეკა. მრავალი ხალხი დაიღუპა. ზოგი ცეცხლში დაიწვა და ზოგი წყალში დაირჩო. ზარალი რამდენსამე მილიონ დოლარამდეა.

— ამერიკის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ჟამად ამერიკაში ერთი მეცნიერი სცდილობს, რომ ფოტოგრაფიით ბეჭედა შემოიღოს.

— ჩიკაგოს გამოფენისთვის გამართული იქმნება ელექტრონის რკინის გზა ჩიკაგოსა და სენ-ლუის შუა. ელექტრონის გზის მატარებელი სულ სხვა სისტემისაა. ამ ორ ქალაქს შუა 250 ვერსზედ მეტია და ამ მანძილს მატარებელი ორ საათს გაივლის, ე. ი. საათში 125 ვერსზედ მეტს.

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

ნება მიბოძეთ, აღვადგინო 4 თიბათვეს დრამატიულ საზოგადოების კრებაზედ წარმოთქმული ჩემი სიტყვები, რომელიც თქვენს გაზეთში ცოტა შეცდომით არის მოყვანილი.

მე ვთქვი შემდეგი.

„მე ვიყავ წევრი დამფუძნებელი დრამატიულის საზოგადოებისა და რადგან ვადაზედ ფული ვერ შევიტანე, წესდების § 9 ძალით ვიქმენ წევრობიდგან გამორიცხული. წინა სხდომაში მე შევიტანე ფული და ვითხოვე, მიველე კრებას ნამდვილ წევრად. ჩემგან ფული მიიღეს, კვიტანცია მომცეს, ხმის ნებაც მომცეს, მაგრამ დარდგინება-კი არ არის კრებისა, რომ მე მიღებული ვარ ნამდვილ წევრადა. ამისგამო ვთხოვ, რომ კრებამ დაადგინოს და ჩავირიცხო მეც სხვათა მიღებულთა შორის საზოგადოების წევრად.“

როდესაც კრებამ ნახა, რომ მე არ ვიყავი ჩარიცხული, დაადგინა და ჩავირიცხე ნამდვილ წევრად.

ამ დროს ვიღამაც აღძრა კითხვა, რომ: მაშ ბ-ნ ფურცელაძეს ნება არა ჰქონია გადაწყვეტილებაში გარევისა და ეგ-კი ხმასაც იძლეოდა, კენჭსაცაო. აქ გაიბა ამაზედ ლაპარაკი და მეც არ შემეძლო არ დავეთანხმებოდი, რომ მეცა და საზოგადოებაც შევედით შეცდომაში, რაკი მე საზოგადოებას დაურდგენელიდ ვერეოდი გადაწყვეტილებებში და საზოგადოება მაძლევდა ნებას ამ გვარ საქმეში გარევისას. მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, რაკი ხმას მაძლევდნენ, ჰქონდათ რამე დადგენილება ამაზედ წინა კრებაებს. და რაკი გავიგე, რომ ამ გვარი დარდგენილება არა ყოფილა, ამისგამო მე მოვითხოვე, რომ საქმით და არა ლითონი სიტყვით ვყოფილვიყავ წევრად მიღებული.

ანტონ ფურცელაძე

### II

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოვუცხადო შემდეგ პირებს, რომელთაც წიგნები შემოსწირეს ქართულ წიგნების ახლად დაარსებულს სახალხო ბიბლიოთეკას. ივ. გ. მაჩაბელს, ნ. ჟუონიას, ალ. გედევანოვს, ზაქ. ჭიჭინაძეს, ეგ. მესხს, ეგ. გაბაშვილს, ალ. ალიბეგოვასას და ვ. სულხანიშვილს („მუშნის“ რედაქტორს).

ბიბლიოთეკის გამგე ან. წერეთლისა.

## დეპეშა

7 ივნისი

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩი და ბერძენთა დედოფალი მეფისწულის ქრისტეფორეთურთ, წავიდნენ რა ხუთშაბათს კლიმპერბორგიდგან გემით „Царевна“-თი, განზრახვა ჰქონიათ, გემით „Адмиралъ Корниловъ“-ით განეგრძოთ მგზავრობა კრონშტადტისკენ.

დღეს ფინანსთა მინისტრი მოვიდა პეტერბურგს დროებით.

**ბერლინი.** ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა თავისი სურათი დიდის ტანისა, ძვირფასის ჩარჩოიანი, ულანის პოლკს, რომელიც მილიჩშია დაბანაკებული და რომლის შეფიც მისი უმაღლესობა ბრძანდება.

დღეს $5^1/_2$ საათზე აქ მოვიდა თავადი ბისმარკი და მრავალი ხალხი მიეგება. თავი კარგს ჯანზეა. შემდეგ თავადი ბისმარკი დრეზდენისაკენ გაემგზავრა.

7 ივნისი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქონებათა მინისტრი სამზღვარ-გარედ წავიდა. გამგეობა სამინისტროსი მიენდო მინისტრის ამხანაგს ვიშნიაკოვს.

30 მაისიდამ 5 ივნისამდე განსაკუთრებულს კომიტეტს შემოუვიდა 19,482 მან. აქედამ 3,527 მან. ლოტრანგთა სამრევლოებმა შემოსწირეს.

**დერპტი.** გუშინ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მობრძანდა დერპტს. მზად ამართული იყო კამარა-შეკრულნი კარნი და მემუსიკეთა გუნდნი სალამს აძლევდნენ

---

ლებით? ფულს პატარა ხელი თუ არ მოუჭირეთ, ძალიან შემოგვეხარჯა.

— შენ იცი.

ესა სთქვეს და გასწიეს ქალაქისაკენ. ქუჩებში ალაგ-ალაგ ლაფში ფეხები ეფლობოდათ და სულ ამოითართხლენ. სტეფანას სახლთან რომ მივიდნენ, ივანე იქვე დუქანში შევიდა და ტიტიამ-კი კიბეზედ აირბინა; დაიხედა, რომ ჩექმები ძალიან მოლაფული აქვს და იფიქრა, ასე შესვლა არ ვარგაო, გაიძრო ჩექმები, კარებთან დააწყო; კარი რომ შეაღო, სტეფანა წინ მიეგება და შეიპატიჟა, სახლი სანთლებით გაენათებინათ. ტიტიას ქალებიც ფეხზედ წამოუდგნენ. ანანამ უთავაზა სკამი, დაბრძანდიო. ტიტია ქალის პირდაპირ დაჯდა, კეკელამ შეხედა თუ არა ტიტიას, უჩექმო ფეხები თვალებში ეცა, წინდები გამოჰსცვეთოდა და ფეხის თითები გარეთ გამოეყო. ქალს ჯერ ელდა ეცა და მერმე-კი ფრუსტუნი წასქდა. ხან დედას ანიშნა და ხან დედიდასა. ტიტიამ წამოიძახა:

— ჩემი მოსვლა იმა?

ანანამ უპასუხა:

— ჩემს ქალს წუხანდელ ამბავზედ ეცინება.

— დესერტნიკები არ ამოსულიყვნენ, მე ვიცი ყველას თან მივიტანდით...

სტეფანამ დედას ავის თვალით შეჰხედა და უთხრა:

— მაგეების გახსენება აღარ ივარგებს, ადე, დედი, შენ ჩაი მოგვიტანე. ანანა გავიდა და ნატალამ ჰკითხა ტიტიას:

— ქალაქი როგორ მოგწონთ?

— კარგია, მიუგო ტიტიამ, მაგრამ აქ ადამიანს საჭმლის მაგივრად პირში სულ ფული უნდა ედოს.

— სოფელსავით მწვანე მინდვრები-კი გვენატრება.

— ჩვენში მხალი, ქინძარი, ბალბა, ღოლო, რომელიც გინდა, მოკრიფე.

ამ ლაპარაკში ანანამ ფოდნოსით ჩაი შემოიტანა და წინდაწინ ტიტიას მიართვა. ტიტიამ გამოართვა ფოდნოსიანათ და წინ დაიდგა, აიღო სტაქანი, ჯერ ერთი დალია, ახლა მეორე, მესამე, მეოთხე, შვიდი სტაქანი რომ დაცალა, სთქვა:

— ოჰ, გავსქდი...

— თუ აღარა გნებავს, ახლა სხვებს უთავაზე, უთხრა სტეფანამ.

— მართლა? აიღო ფოდნოსი, დაუდგა წინ კეკელუას და უთხრა:

— მაშ ახლა თქვენთან ალავერდი...

კეკელუას გულმა ვეღარ გაუძლო, წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა, პატარა ხანს უკან ანანა გაედევნა და ჰკითხა:

— როგორ მოგწონს?

— ვუი დედავ, მუშას შევირთავ და მაგას-კი არა.

— ქაა, ეგ რა ხათა გადამკიდა ხელ-მეორეთ სტეფანამა? ახლა როგორ უნდა მოვიშორო თავიდამა?..

— ამაზედ ადვილი რა იქნება, შენ ასე უთხარ, ჩემი ქალი თუ არ სომეხს, არ ირთამს-თქო, და ეხლავ გააგდეთ აქედამა.

ანანა რომ შემოვიდა, პატარა ხანს უკან ტიტიას ჰკითხა:

— თქვენ სომეხი ბრძანდებით?

ტიტიამ გაოცებით უპასუხა:

— სომეხი? ღმერთმა დამიფაროს, მე ქართველი გახლავარ.

— მაშ ახლა როგორ უნდა იყოს საქმე? ჩემ კეკელუას ფეთხაინში აღთქმა ჰქონია, თუ არ სომეხს არ შევირთამო. სტეფანა მიხვდა, რომ ქალმა დაიწუნა და იმანაცა სთქვა:

— დიდი ხანია კეკელუა ამას ამბობს: მე რათ მინდა გუთანი, მე მინდა დუქანიო.

— არა, მაშ ეხლა, მაგის გულისათვის გავსომხდები და ადლს დავიჭერ ხელშია, წყენითა სთქვა ტიტიამ, შვილოს მე ნულარ დამემდურებით, მშვიდობით ბრძანდებოდეთ... ადგა ტიტია, გამოვიდა, ჩაიცო ჩექმები და ჩაირბინა კიბეზედა...

ანანამა და ნატალამ უბე გაიბერტყეს და სთქვეს: ღმერთსა მადლი, რომ მაგ რეტიანს გადავრჩითო... ტიტია, სადაც ივანე ეგულებოდა, იმ დუქანში შევიდა და დაიძახა: — ივანე, აბა, მანდა ხარ?... ივანემ ხმა მოსცა:

— ოჰ, რა ჩქარა მოდიხარ? ამბავი?..

— დასწყევლათ ღმერთმა, ახლა ესა თქვეს, ქალი თუ არ სომეხს, არავის ირთავსო.

— თავშვი ქვა იხალონ, წამო წავიდეთ ჩვენს ბინაზედ...

ფეხით წასვლა ველან გაბედეს, ჩასხდნენ დროშკაში და გასწიეს ბინაზედ. მივიდნენ თუ არა, ტიტია წაეგდო პირქვე და მთელი ღამე სულ ოხვრით გაათენა. მეორე დღეს ივანე ცდილობდა, რომ გაემხიარულებინა როგორმე, მოიყვანა დროშკა, არ მოეშვა, ჩასვა და მუშტაიდისაკენ წაიყვანა სასეირნოდ, რომ დარდი გულიდამ გადაიყაროსო. მაშინ თეატრი ჯერ არ იყო და კამენდიაჩიკს თვალთ მაქცებს ეძახდნენ. რომ დაღამდა, ახლა იქ წაიყვანა და ამაობაში რამდენიმე თავიანთი ყადრი ყმაწვილი კაცი გააცნო. იმათ, რაკი შეატყეს, ჯიბეში ფული უჭყავითო და ხამები არიანო, დღე და ღამე აღარა ჰსცილდებოდნენ და, სად იტყვის ადამიანი, რომ იქ არ წაიყვანეს. ერთი სიტყვით ცხოვრების ჰუჭყიან უფსკრულში ჩაცვივდნენ საცოდავები. ამ საძაგლობაში ფულიც შამოელიათ. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ძლივს ერთი ნაცნობი სირაჯი შეჰხვდათ და შეეხვეწნენ, რომ ფული ესესხებინა, მაგრამ სირაჯმა შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი. როგორც იყო დიდის მუნათით საპალნე ღვინო ხუთ მანეთად დაუუკვეთეს და ექვსი თუმანი ისე გამოართვეს, ისიც ამ კარგ ამხანაგებს ერთ კვირაზედ კბილის ქარათ არ ეყოთ და კიდევ უკაპეიკოდ დარჩხენ.

ამ დროს მსახურმა ცხენები ჩამოჰგვარა, რომ შინ წასულიყვნენ, მაგრამ კარგი მეგობრები თავს არ ანებებდნენ და ეუბნებოდნენ:

— ერთი ორი კვირა კიდევ დარჩით, ვიქეიფოთო... ტიტიამ და ივანემ მსახური შინ გაისტუმრეს და უთხრეს:

— ეს ცხენები აქ იყოს და ჩვენ წამოვალთო... რაკი მსახური მოიცილეს, ორივემ ცხენები დაყიდეს და ამ ფულებით ქუდი ჰერსა ჰკრეს.

დიდხანს აღარც ამ ფულებმა გასტანა, გამოელიათ და მერმე თქვეს: უნაგირები რაღად გვინდაო. ესეც დაყიდეს, სახლის ქირას გაუსწორდნენ და მეტი გზა რომ აღარა ჰქონდათ, წასვლის თადარიგს შეუდგნენ. ქირაზედ ჩამოსული ურმები ნახეს, ზედ დაუსხდნენ და გასწიეს ისევ კახეთს ჯონჯლიანისაკენ.

ბარბარე ჯორჯაძისა

მის უმაღლესობას. სანგლას სადგურზე დიდმა მთავარმა მიირთვა საუზმე ლიფლიანდიის თავად-აზნაურობისაგან დამზადებული. იქ მისმა უმაღლესობამ პატარა ხე დარგა, დაათვალიერა გიმნაზია, სამხედრო დაწესებულებანი და საოსტატო სემინარია.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,64 | 7,67 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 153 1/2 | 152 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 241 1/2 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 221 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 193 1/2 | — „ | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — „ | — „ | 102 1/2 |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | 99 1/2 |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | 102 1/2 | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 99 1/2 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 98 1/2 |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გან ადისაითს.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

# განცხადებანი

## გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში:

## „ახალი ანბანი“

ვლ. აღნიაშვილისა.

1) „ან“, წერა-კითხვა. . . . 10 კ.
2) „ბან“, წვრილ-წვრილი ლექსები . . . . . . . , . . . 10 კ.
3) „გან“, პატარ-პატარა ამბები. . . . . . . . . . 10 კ.
4) „დონ“, პატარ-პატარა ამბებივე. . . . . . . . . . 10 კ.
5) „ენ“, გასართობი. . . . . 10 კ.


## მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჰრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები სავაჭრო სახლი:

ბენდერ და სცეფანოვი

(35—56—25)




(12—9)



ტფილ. გამოფენა.

ვერცხლისა ოქროსი

## ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ალალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—18)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | | 5 „ . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | | 4 „ . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | | 2 „ . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | | 1 „ . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებშ № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 8-го Іюня 1892 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.